ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2876773

ნომერი: AR1444619

თარიღი : 28.09.2016

გაცემის თარიღი : 06.10.2016

გაცნობის თარიღი : 09.03.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ გენებაშვილი პ/ნ 31001000427
- თბილისი ს. დიღომი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51–ე, 52–ე, 96–ე, მე–100 მუხლების, VI თავის, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლების, ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის N24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2 და მე–3 მუხლების თანახმად

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული AR1444619 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილიში, საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომში არსებული (საკადასტრო კოდი N01.72.14.092.856) მიწის ნაკვეთის საზღვრების კონფიგურაციაში ცვლილების შეტანას, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-104 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2–3 მუხლების თანახმად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით მიწის ნაკვეთის, საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომში არსებული (საკადასტრო კოდი N01.72.14.092.856) საზღვრების ცვლილება სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, კერძოდ აღმოსავლეთის მხრიდან გზკენ საზღვრის გადმოწევა. მიწის ნაკვეთის საზღვრების ცვლილება სესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ დასავლეთის მხარეს არსებული ტავისუფალი კუტხის შევსებით, საერთო ფართის უცვლელად.

შესაბამისად საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით წარმოსადგენია მიწის ნაკვეთის საზღვრების გეგმის კორექტირექტირებული ვერსია ზემოთ აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.